

საქართველოს კანონი

„გეოდეზიური და კარტოგრაფიული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ

მუხლი 1. „გეოდეზიური და კარტოგრაფიული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში (პარლამენტის უწყებანი, №19-20, 30.05.1998, გვ.9) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. მე-15 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. თავდაცვისა და უშიშროების სფეროში გეოდეზიური და კარტოგრაფიული საქმიანობისას თავდაცვის სამინისტროსა და გეოდეზიისა და კარტოგრაფიის სახელმწიფო დეპარტამენტის ურთიერთქმედება განისაზღვრება „საქართველოს გეოდეზიისა და კარტოგრაფიის სახელმწიფო დეპარტამენტისა და საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის ტოპოგრაფიულ სამმართველოს შორის გეოდეზიისა და კარტოგრაფიის სფეროში ურთიერთქმედების შესახებ“ დებულებით, რომელსაც ამტკიცებენ ამ დაწესებულებათა ხელმძღვანელები.“

2. 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე)“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) „საქართველოს გეოდეზიისა და კარტოგრაფიის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარისა და საქართველოს თავდაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება „საქართველოს გეოდეზიისა და კარტოგრაფიის სახელმწიფო დეპარტამენტსა და საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის ტოპოგრაფიულ სამმართველოს შორის გეოდეზიისა და კარტოგრაფიის სფეროში ურთიერთქმედების შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე.

მუხლი 2. კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.